


კვირა, 24 გვართიკე, 1916 წ.

საქართველო

საქართველოს
გაზეთების
ბიბლიოთეკა
ქრონოლოგიკი
ბიბლიოთეკა



ლ. არაშივილი—ნახატი ძმათა ჯაფარიძეთა.
(იხ. დოღეანდელი გაზეთი)

რომანსი

ფრთხილად შემოვიღე შენს ოთახში შეყვარებული,
სანათი წითლად პარპაღებდა ფანჯარის წინა;
მე მოგაშტერდი ჩუმად, ნაზად აღელვებული,
შენ სარეცელზედ მომღიმარეს მშვიდათ გეძინა...

არშის ძაძა გიქარგავდა საბნის ატლასსა,
წარბების ჩრდილში მიგმალოდა თვალების შუქი;
საყურის ლალი სხივს ესროდა ხალის ხასხასსა,
ვარდათ გიღებდა მარჯნის ბაგეთ ვნება მსუბუქი...

შუბლზეც კულული გაწეწილი გადმოგფენოდა,
სურნელი სუნთქვა ლიღლიღებდა შენ გარეშემო;
ლაწვებზედ მთვარის ეღვარება მკრთალად გშვენოდა,
მკერდიც გითრთოდა ნეტარებით, სიცოცხლევ ჩემო...

მგზნებარეს ცეცხლის ნაპერწკლები გადმომსკდა თვალთ,
გონებას ძალა ჩაეფერფლა ვნების უფსკრულში;
შენ წინ დავემხე მუხლმოყრილი თრთოლით, კანკალით,
და გაშმაგებით მოღვედილი ჩაგიკარ გულში!

კიკნა-ფშაველა.

თავისუფალი სამოქალაქო პილოჯა

Handwritten musical score for 'თავისუფალი სამოქალაქო პილოჯა'. The score is written in two systems, each with a vocal line and a piano accompaniment. The tempo is marked 'Allegretto Tempo di marcia'. The music is in 2/4 time and features various dynamics and articulations.

უბაღური რუსი

(გაგრძელება)

დ.

მგზავრები მიუყვებოდნენ ნოვრეთის სამთავროს მთის კალთებს.

კლდოვანი იყო მთის ბლიკი. სიბჭვანე ცხენთა ფოლადის ნაღს ნაპერ-წყლები გასცივდა, მაგრამ მაგარი აგებულობის ჯიქეთური პირუტყვები თავს იმაგრებდნენ და ქინჩ-მოღრეკილი დინჯთა მიაბიჯებდნენ.

წინ მიუძღოდათ ეტეკი, გზის მაჩვენებელი. მის შემდეგ მიდიოდა იურია და თავის მერანვით მასაც ქედი მოედრიო.

თითქო თავის ხეცდრის დამორჩილებიო.

თითქო ტყვე არის თავის მოვალეობა და ამ საპატიო დარაჯთ ვერსად წასვლიაო.

„საპატიო დარაჯები“ კი — ზანქან ზორამაბელი და კუზმა — რუსი — შორი ახლო მოსდევდნენ უფლის წულს და ნელა მოსაუბრობდნენ.

— მაშ კარგა არა გცოდნია ჩენი ამბავი — იკვირებდა კუზმა.

— საიდან? ვიცოდი რომ იური

უფლის წული იყო, ყიფჩაყა მეფის მონათესავე, ვიცოდი, რომ მასთან მცირეწლოვანი იზრდებოდა... სხვა კი დაწვრილებით რა მეცოდინებოდა... ისიც კი კარგა არ ვიცი თვით შენ ვინა ხარ?..

— მა, მა! — მოკლეთ გაეცინა კუზმას. — ეს ხომ იცი, რომ იურიასი ლალა ვარ?..

— ზანქანმა თავი დაუქნია.

— მეც თავი ვარ ჩემს ქვეყანაში, მეცობარო... ან უფრო მართალი იქნება... ვიყავ...

და ულვაშ ზემო, ცხვირის ნესტოსთან ნალღვლი ისრათ გაწვავა.

— თავადი ვიყავ, მქონდა ჩემი სამფლობელო, მაგრამ მართა უძღუერი ვიყავ, მტრები მემძლავრებოდნენ და აი შეუერთდა იურიის მამას, დიდ მთავარს ანდრეი ბოგოლიუბსკის... გიკვირდა ვანა, რომ ყიფჩაყა მეფე იგრე თავანით მეყროვებოდა, მის სუფრანზე ვიჯექე, ყველანიც გვგე მოკრძალებით მეძვეოდნენ... კარგი დრო მქონდა, კარგი მდგომარეობა, ზანქან... ანდრეი სიყმაწვილითვე შევიყვარე... დიდებული კაცი იყო ცხონებული. დიდი აზრები უტრია-

ლებდა, დიდი საქმეც მოიქმედა... მინ პირველმა შესძლო რუსეთის დაქსაქსულა და დანაწილებულ სამთავროების შეერთება. გაბედული იყო, შეუპოვარი, მძალადრი და შემეხვედრებოდა. პირველმა მან მოახერხა, რომ კიევის ძლიერება შეერყია და მისი გავლენა და ჰუმული შეესუსტებინა. უმთავრესი ყურადღება სახელმწიფოსი მან ჩრდილოეთით გადაიტანა როტოვსა და სუხდალში, უფრო კი ვლადიმირში, თუმცა თვითონ ცხოვრებით უბრალო, მისგანვე დაარსებულ სოფ. ბოგოლუბოვოში სცხოვრებდა. მამა მისის სიკვდილის შემდეგ იმდენათ გაძლიერდა, რომ მისი ბრძანებით ინიშნებოდნენ მთავრები კიევისა და სხვა სამთავროები. თვით მთელმა ნოვგოროდმაც ქედი მოიხარა მის წინაშე და ერთ დროს მთავრად ანდრეის ძმისწული მსტილავი მოიწვია. მას უბაღურსი საწაღელი ჰქონდა; უნდოდა თვითმპყრობელი ყოფილიყო მთელს რუსეთისა და ამავე აზრით აშენებდა მკლესიებს, ამშენებებდა ცხენდარბაზებს კიევისა და ნოვგოროდის მსგავსათ ვლადიმირსა და ბუგოლუბოვოში. ერთ დროს ისიც კი უნდოდა, რომ საკუთარი მიტროპოლიც დაე-

არსებინა... და აი ამისთანა კაცს, კარგად მიხვდები, რომ მტრებიც მეფერი ჰყავდა. თვით საკუთარი ძმებიც კი არ უსვენებდნენ. უბედურებს არ ესმოდათ რა დიდი საწაღელიც ჰქონდა ანდრეის და სხვა წვრილმან მტრებთან ერთად ხელს უშლიდნენ. მაგრამ ანდრეის შეცდამა ის იყო, რომ ქედმაღალი იყო, ფიცი საშინელი და თვით შინაობაშიაც ხშირად დაუბოგველი. ამის გამო შეითქვენ თურმე მისი შინაყმები, რომელთა შორის ერთი თვემდებოდა, ღვთისგან შეჩვენებული ოსი, ვინმე ანხალი და 28 ივნისს 1174 წ. მოკლეს კიდეც ეს გოლიათი კაცი. მე უბედური იქ არ ვიყავ მაშინ. გაზაგანილი ვიყავ და რომ მოეკლათ, სწორედ იმ დღეს გავჩნდი ბოგოლუბოვოს... ღამით ოც კაცამდე მიუხდნენ თურმე ანდრეის და საწოლი ოთახის კარები შეუმტრირეს. ანდრეი წამოვიდა, უნდოდა ხმლისათვის წაეფეო ხელი, მაგრამ იმ ოსს, შინაყმა ანხალს აღრევე აელაგებინა ანდრეის იარაღი. ანდრეი ლოგინიდან წამოვიდა და თუმცა მართალია ხანში იყო შესული მაინც იმდენად ღონიერი იყო ცხონებულზე, რომ უიარაღო გაძალიანებოდა თავი

ლი მარში ლიბრეტი არამიუზილია

Handwritten musical score for 'ლი მარში'. The score is written in two systems, each with a vocal line and a piano accompaniment. The tempo is marked 'Allegretto'. The music is in 2/4 time and features various dynamics and articulations.

დამსხმელებს. თან ეთქვა: „ვთქვენ-და, მუხანათნი! რა ეგეთი ბოროტება მიმიძღვის თქვენდამი? უკეთუ ჩემს სისხლს დაღვრით, თვით ღმერთი იძიებს შურს ჩემი პურმარბილისათვისაო“. მაგრამ ხელ-ცაღიერი კაცი აბა რას გააწყობდა. და ბოლოს მოქმედი წაიქცა თურმე საცოდავი. შეთქმულებს ეგონათ, რომ დიდი მთავარი უკვე მკვდარიყო და ნელ-ნელ ვაიეროფენ, მაგრამ ამ დროს შემოესმათ საბრალო მთავრის კენესა. ის წამომდგარიყო და დერედანში კიბეს მიჰყუდებოდა. შეთქმულები დაბრუნდნენ და მანამ არ მოეშვენ სანამ სრულიად ბოლო არ მოუღეს. ეგ, საცოდავი! გარიყარე ანდრეის საყვარელი მსახური პროკოფიც მოკლეს და მთავრის სალოო გასცარკეს. შემდეგ კი ვლადიმირებს კაცი გაუგზავნეს შეთქმულებმა, ეწინიდათ შური არ იძიონ. მაგრამ ვლადიმირებს ყურის არ გაუბერტყნიათ... აა, ზორამაბელ, შენ წარმოიდგინე ხალხის უბედურება! დიდებული კაცი მოუკლეს, ის კაცი, რომელმაც ვლადიმირი ესე აღამალა, თითქმის უმთავრეს სატახტო ქალაქად აქცია, გაამშენებო, ცხოვრება ააღორძინა, ეს კაცი მოუკლეს და ვი-

თომც აქ არაფერი... ოო, ეხლაკი მონაგონზე ბოლო და ბარბი მახრობს... პირუტყვები! სანამ ცოცხალი ხარ გელაშენებთან, ფეხქვეშ გეგებოან, წაიქცე, ფეხი წავებოროდიკი და... ალაგის უნდინარ... ალაგის ასოსი შენი ამავი... კინაღამ თავი არ მოვიკალ, როდესაც უპატრონო მიგდებულხი დიდი მთავრის ცხედარი ვნახე. გრთული მსახურნიც დაკლულხი ეყარენ და მხდალები და მშინებები გაქცეულხიყვენ. სასაზღვ გაპარტახებული იყო, კარები დაღებულნი, მორთულობა მიგრეულ-ბინგრეულნი, სალოო გასცარკული. როგორც იყო მოქმედნე მთავრის წამოსასაზი და გულ-გამწებულმა წისკან აშინებულ სობოროში წავსაყვენ. მთელ ბოგოლიუბოვოში მხოლოდ მთავრები და გაღებულნი დაეხეტებოდნენ. ძლიერ დაგზწვი თავი იმათ დაცივებას და შეუარაცხოფას. როგორც იყო მივადწვი ტაქარს, მაგრამ აქაც ეკლესიის მსახურნიც მთავრები დამხვდნენ და გვიმა საყდარში არ შემბარანინეს, რა შენა! გვიმა შესავალთან დავასვენე და მალაღის ხმით დავეტირე ჩემი უფროსი: „ხდავ, ჩემო ბატონო და მწყალობელო, შენი

ყმები ვით გექცვიან! არცკი გცნობენ! შენსობას კი საიდანაც უნდა მოსულიყო სტუმარი სამეფო ქალაქიდან, ბიზანტიიდან ან სხვა რომელიმე მხრიდან, რუსი ყოფილიყო ვინღ ლა-თინი, ქრისტიანი თუ ურჯულო, შენ ბრძანებდი, რომ უთუოდ ამ შენს მიერ აშენებულ ტაძარში მოეყვანათ და გრევენბინათ ძვირფასი სავანდური ეკლესიისა. ვინც უნდა მოსულიყო ესეთი საქრისტიანო მშენებებზე პირველად იყრდა, იწერდნენ პირველად თვით ბულვარნიც და ჰურიანიც და სხვა ურჯულონი. თვით ისინიც კი შენი ესეთი ძლიერების მცნობნი შენზე ცრულად დაღვრიან და ამით დახედენ... არც კი უნდათ, რომ ამ შენს ტაძარში შეგიშვან მეთქი... ელს მღულა-მირსებმა კაცები გამოგზავნეს ბოგოლიუბოვოში მხოლოდ მთავრები და გაღებულნი დაეხეტებოდნენ. ძლიერ დაგზწვი თავი იმათ დაცივებას და შეუარაცხოფას. როგორც იყო მივადწვი ტაქარს, მაგრამ აქაც ეკლესიის მსახურნიც მთავრები დამხვდნენ და გვიმა საყდარში არ შემბარანინეს, რა შენა! გვიმა შესავალთან დავასვენე და მალაღის ხმით დავეტირე ჩემი უფროსი: „ხდავ, ჩემო ბატონო და მწყალობელო, შენი

მავრა თავი და ტირილი მორთო. მხოლოდ მაშინ გაახსენდათ უფუნ-რებს მათი ბატონ-პატრონის სიკითე და ამავი... დამარხეს თუ არა მე მაშინვე იურიას გამბრძოლებთან გავიქეცე. ცხონებულ კარგა ხნის დაქვრივებული იყო და შეილიც მოშორებით ერთ ერთგულ მოყმისას გაბარებული ჰყავდა. მეშინოდა იმასაც არა აუტახონ-მეთქი და რაღა თქმა უნდა, პირველი საფიქრალი-ის გამიხდა, სანამ მოვიდოდი გული მივდებოდა; ვი თუ ვეღარ მიუსწრო-მეთქი. მართალია ბოგოლიუბოვოს და ვლადიმირში აჯანყებთ თითქო ჩაქრა, მაგრამ შეთქმულების მომხრეები და ანდრეის სიკვდილით გახარებული მისი ძმა ვსევოლოდის კაცებს გაენადგურებინათ. ცეცხლი მოჰყიდა, მაგრამ სამაგიეროზე ფაქრი მეტი იყო. ჩემი პაწია საცმო უყვე დაშინებული იყო და ისეთი მძლავრი მომხრე, როგორც ანდრეი იყო ალაო მყავდა. ეს ყოველივე ელვას უსწრავესად მოვიციქურება თავის დაღვანე უნდა მეზრუნა



ლევინ ქალი
ნახატი ხალილ ბეგ მუსაევისა.



სტუდენტი დიმიტრი სიმონის ძე ლარჩია.

ბარათოვის რაზმში დანიშნული იყო დინამიტო-
რად. გარდაიცვალა ავადმყოფობისაგან. უკანასკნელ წუ-
თამდის თავის მოვალეობას თავგანწირვით ასრულებდა;
თვით გენ. ბარათოვი სამძიმრის დეპეშით ამცნობს ღარ-
ჩიას დედას ამ სამწუხარო ამბავს.

რდილიყო მომავალი შურის მგებელი.
და აი მგონი მივალწიე კიდევ მი-
ზანს... იურიჲ უკვე ვაქაცია... უკვე
ახლოს არის, ზორაბაბელ, საწადელი...
მაგრამ...

აქ უკვე ანაზღათ შეჩერდა კუზმა
რუსი. თითქო იგრძნო, რომ ნამეტანი
მოუფა თუ ამ უცხო სოვდაგარს თავის
სრული გულის ნადები გადაუშალოსო.
ერთი განზე გახედა ზანქანს და შემ-
დეგ ასე შეატრიალა სათქმელი:

— აი ეხლა საქართველოს მიგუა-
ვართ, მეგობარო, შორს ჩვენი საწა-
დელისაგან... ჰა, ჰა! საქორწილო, ჯვა-
რის წერის მზადებას უნდა შევეუდ-
გეთ...

თითქო უგემური ხუმრობით შეს-
წყვიტა კუზმამ.

მაგრამ გამოქაზარაკებული სოვდაგა-
რი თითქო მიუხედაო, ნუგეშს მოჰყვა:

— მერე განა გწყინს?— განა კიდევ
ვერ შეეჩვიე ამ აზრს?... შეიძლება ამ
ქორწინებით უფრო მალე და უფრო
ადვილად შეასრულო ის, რაც თუ-
რმე ამდენ ხანს გულს გქონია...

კუზმამ თავი ველარ შეიმაგრა.
— ვნახოთ, ვნახოთ— წარმოსთქვა.

გზა უკვე თავ-ქვე ჩაეშვა.
ქარაფოვანი, შიშველი კლდეები
ორივ მხრით ცად ამართნენ.

ქვევით კლდიდან ამოხეთქილი რა-
ღაც პაწია მდინარე ახლად დაბადე-
ბულივით ღრიალებდა და თვის მომსხო
შხეფებს უფსკრულისკენ ცრემლად
რღვნიდა.

თავ-ჩაქინდრულ იურიჲს გული შე-
უწუხა ამ ვიწროობამ, თითქო ჰაერი
აღარ ჰყოფნიდა, თითქო დილეგში
ჩააგდესო.

გაახსენდა თვალგადაუწვდენელი ვე-
ლი, ქოჩორა, არყის ხის ტყე, რედე-
ლია, სილაღე, თავისუფლება, სვეტლა-
ნა, მისი სიგიჟე, თავ-დავიწყება და
გული ამოესკვნა.

სწორედ ამ დროს სულ ახლო ფრი-
ნგელის ფრთების ბარტყუნი მოესმა.

გაბრაზებულმა ზე-აიხედა: დაინახა,
რომ შავი ყორანი ფრთების მძიმე
ქნევით თავს დასტრიალებდა.

ცხენი შეაჩერა. ყორანი წრეს თან-
დათან ვიწროთ ავლებდა,

— რა უნდაო?— გული მოუვიდა.
მშვილდ-კაპარჭი მოიმარჯვა.

რკინის მოკლე და მოსხლეტილი
ისარი გაუზუნდა ჰაერში.

მშვილდის ლარმა თითქო დაიძახა:
ამბაა!

ყორანს შუაზე გაერჭო ისარი.

— ყოჩაღ, ხელი შეგარჩინა ღმერ-
თმა!

შესძახა უკან მომავალმა კუზმამ და
გახარებულმა ცხენი გაქუსლა იურიჲ-
საკენ.

— შეხე, შეხე!— უკან ჩაქჩაქით მო-
მავალი ყვიროდა ზორაბაბელი— შეხე
ყორანს, ისრიანი მიფრინავს.

— შორს ვერსად წავა!
უპასუხა კუზმამ.

მართლაც ერთი შემოტრიალდა ყო-
რანი და გადაიღუპა უფსკრულისკენ.

— იურიჲ, არა გშია?
შეეკითხა კუზმა.

ეტკივი იქვე ახლო იყო. მან მოახ-
სენა კუზმას, რომ მგზავრთა შესასვე-
ნო საფუნდუკო ახლოს არისო.

დამშვიდნენ, ჩააღწიეს და სუფრა
გაშალეს.

იურიჲ არაყს დაეძალა. კუზმა აღარ
უშლიდა.

„დღე, გული მოიხოსო“, ეუბნებო-
და ზორაბაბელს.

იურიჲმ განაცხადა, რომ ეს მთები
თითქო სულზე აწევებიან.

ზორაბაბელმა აუხსნა— ხვალდგან
უკვე ვაკეზე ჩავალთ ნამდვილ საქარ-
თველოში და მთიულეთზე კი არ წა-
ვალთ, დიდ ქალაქ მცხეთისაკენ, არა-
მედ მოკლე გზით გორს მოგვხვდებით.

ეს ქალაქი სულ ახალი დაარსებულია,
თამარის პაპამ დავით აღმაშენებელმა
დასდგა საფუძველი და შიგაც სულ
ქ. ანისიდან და სხვა მხრიდან გადმო-
ხვეწილი სომხები ჩაასახლა. მშვენიე-
რი მდებარეობა აქვს. შემდეგ კი თა-
მარის სასახლე მდებარეობს სულ
გაშლილი ვაკეა და უფლისწულს აღარ
მოეწყინებო.

ამაზე გული დააჯერეს.

(დასასრული პირველი თავისა)

შალვა დადიანი.

და როგორც იყო ანდრეის ერთთ-
ერთი მცირეწლოვანი იურიჲ უნ-
და გადამერჩინა. ვფიქრობდი საით
უნდა წავსულიყავით, რომ ბავშვი-
ცა და ჩემი თავიც შემეფარებინა.
მაშინ გამახსენდა, რომ ანდრეის დე-
და ჰოლოვცის ხანის, ყიფჩაყთა მე-
ფის აეპის შვილი იყო და ეხლა-
ხან საყიფჩაყთაში ანდრეის ბიძა მე-
ფობდა, აი, ჩვენი მეგობარი, სათნო
მეფე. დავასკვენ მასთან გამეტაცნა
იურიჲ, რადგან აქ უკვე სამშვიდო-
ბოს ვიქნებოდით, ანდრეის მტრები
იქ ველარ მოგვწვდებოდნენ და რო-
დესაც იურიჲ მომწიფდებოდა სამა-
გიეროსაც ვაზღვევინებდით ჩვენს დამ-
ლუპველთ. ესეც მოვიქმედე. საბედ-
ნიეროთ იურიჲს დროზე ჩაუფსწარ და
ლამ-ლამობით, ტყე-ღრეში სიარულით,
როგორც იყო, დიდის სიფრთხილით
ჩამოვალწიეთ ყიფჩაყთა მეფესთან...
იქ კი რუსეთში ვინიცობისათვის ხმა
დავაგდე, რომ ანდრეის შვილი არ
დარჩენია, ერთი ბლარტი იყო და
ისიც მოკვდა-მეთქი... ესეც ერთ-გვა-
რი ხერხი იყო თავის დასაცავად, რა-
დგან გავიგე, რომ გულ-ღვარდლიან
ვსევოლდს ბრძანება გაცა ანდრეის
შემკვიდრე მოეძებნათ და მის წინ

დაეკლათ. მაგრამ წაუხდა უბედურს,
მე დავასწარ და ბოლოს გავიგე, რომ
რუსეთში მართლაც გავრცელებულიყო
ხმა ანდრეის უშვილოდ, უმემკვიდროთ
გადავიდაო. მეც გულში ვიციინოდი,
მაგრამ მოურეველი ბრაზი კი მაინც
მახრობდა. მთლად შურის ძიებათ
გადავიქეც და გავკაქდი, გავქვავდი.
იურიჲ იყო ჩემი იმედი; განმახორცი-
ელებელი დიდი განზრახვისა. მას უნ-
და ამოეყარა მამა მისის და მისი
გამზრდელის ჯავრი, მას უნდა შეეს-
რულებინა ის დიდი საქმე რუსეთის
გაერთიანებისა, რაიც ანდრეის არ
დასცალდა და მხოლოდ-ღა ამ აზრით
ვცოცხლობდი, ეს იყო ერთად-ერთი
შინაარსი ჩემის სიცოცხლისა. სხვა ყო-
ველივე დავთმე... პირადი სიამოვნება,
სახლი, ოჯახი, ყოველივე ამ აზრს,
იურიჲს აღზრდას ვუქმსვერბლე... მინ-
დოდა, რომ უწინარეს ყოვლისა იუ-
რისაგან მამა-მისსავით მხნე და ჯან-
სალი მეომარი გამოსულიყო. ამიტომ
იყო არ უშლიდი, როდესაც კი მოი-
ჩიტა, ტყე-ღრეში მარტო თარეშს. მინ-
დოდა გაჩვეოდა ბუნების სტიქიონთა
ატანას, მარტოობას, საშიშროებას, მე-
ომრულ სიმკვირცხლეს, მოსაზრებას
და არას უშლიდი. ლაღათ უნდა გაზ-